პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 223 (10309) | სამშაბათი, 20 სექტემბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

19 სექტემბერს დილით კრემლის დიდ სასახლეში მოსკოვში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით შემდგომი ნაბიჯების საკითხზე.

თავმჯდომარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი.

სხდომის დასაწყისში მოსმენილ იქნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ლოტარ ბოლცის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ხელშეკრულების“ პროექტის შესახებ, რომელიც მოამზადა 17 სექტემბრის სხდომაზე შექმნილმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ექსპერტთა შერეულმა კომისიამ.

ხელშეკრულების პროექტის განხილვისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ სიტყვები წარმოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა და დელეგაციის წევრებმა — პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ოტო ნუშკემ, გლეხთა დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა ბერტოლდ როზემ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოტარ ბოლცმა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ერიხ კორენსმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

შემდეგი სხდომა გაიმართება 20 სექტემბერს.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ფინეთის პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი

17 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი უ. კეკონენი. მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

## ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენა „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი“

კვირას, 18 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენა „სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის 10 წელი“. სტუმარს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ი. ვოშაგლიკი, გამოფენის დირექტორი ი. ტაუფერი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს თანამშრომლები და გამოფენის მუშაკები.

ა. მ. გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მდებარე გამოფენის პავილიონებისა და ღია მოედნების სტენდების დათვალიერებამ დაახლოებით სამ საათს გასტანა. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა გამოფენილი მანქანები, სხვადასხვა აპარატურა, ელექტრომოწყობილობა, საშენი მასალები, ფართო მოხმარების საგნები. (საქინფორმი)

## ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელნი ამხანაგები ო. გროტევოლი და ვ. ულბრიხტი

17 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ულბრიხტი.

საუბრის დროს, რომელიც სრული გულახდილობისა და გულწრფელი მეგობრობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეეხება.

## ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ო. გროტევოლი

19 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ო. გროტევოლი.

## ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. ულბრიხტი

19 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. ულბრიხტი.

## საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს

საჩხერის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 სექტემბრისათვის წველადობის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 640 კილოგრამი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 კილოგრამისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს მეცხოველეობაში სამეურნეო წლის დამთავრებამდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მოწველონ 100 კილოგრამი რძე.

# საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომუნიკე

## ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ი. კ. პაასიკივის მოსკოვში ყოფნის შესახებ 16-20 სექტემბერს

16-20 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით საბჭოთა კავშირში იყო ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ი. კ. პაასიკივი. პრეზიდენტს ახლდნენ: ფინეთის პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, მინისტრი რ. სვენტო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპიალია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივიმ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობას და ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას.

საბჭოთა კავშირის მხრივ აზრთა გაცვლაში მონაწილეობა მიიღეს: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა.

ფინეთის რესპუბლიკის მხრივ აზრთა გაცვლაში მონაწილეობდნენ: პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, მინისტრი რ. სვენტო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპიალია.

საუბრები მიმდინარეობდა გულწრფელი ნდობის, გულითადობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით და გამსჭვალული იყო ორივე მხარის მისწრაფებით შემდგომ განამტკიცონ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ემყარება თანასწორუფლებიანობას, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

ორივე მხარემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ვითარდება კეთილნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიურ და კულტურულ დარგში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა, კერძოდ, სსრ კავშირსა და ფინეთს შორის ახალი გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადებით, და გამოთქვეს თავიანთი განზრახვა კვლავაც განავითარონ ეს თანამშრომლობა ორივე ქვეყნის სასარგებლოდ. მხარეებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც 1948 წლის 6 აპრილს დაიდო, საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მტკიცე საფუძველია და ხელს უწყობს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში. ისინი შეთანხმდნენ იმაზე, რომ განაგრძონ ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 20 წლით, და ხელი მოაწერეს ამის შესახებ შესაბამის ოქმს.

მხედველობაში იღებს რა სსრ კავშირისა და ფინეთის კარგ კეთილმეზობლურ ურთიერთობას, აგრეთვე ითვალისწინებს რა საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარ შენელებას, რაც მიღწეულია ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგად, საბჭოთა მთავრობამ, ფინეთის ინტერესების დასაკმაყოფილებლად, შესაძლებლად მიიჩნია უარი თქვას ფინეთის ტერიტორიის პორკალა-უდის იჯარის უფლებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირს 50 წლით მიენიჭა ფინეთთან 1947 წლის 10 თებერვლის საზავო ხელშეკრულებით იქ სამხედრო-საზღვაო ბაზის მოსაწყობად. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ლიკვიდაცია უყოს თავის სამხედრო-საზღვაო ბაზას პორკალა-უდში, გამოიყვანოს იქ მყოფი საბჭოთა ჯარები და გადასცეს იჯარით აღებული პორკალა-უდის ტერიტორია ფინეთს. ამასთან საბჭოთა მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემს ფინეთის მთავრობას საცხოვრებელ, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, საწყობისა და სხვა შენობებს, აგრეთვე ნავსადგურის მოწყობილობას ნავმისაბმელებით და სხვა ნაგებობებს, რომლებიც საბჭოთა მხარემ ააშენა პორკალა-უდის ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ და ფინეთის მთავრობამ დაადასტურეს, რომ მათი საგარეოპოლიტიკური ღონისძიებანი კვლავაც მოხმარდება საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმისათვის ხელისშეწყობას.

მოლაპარაკების ფინელ და საბჭოთა მონაწილეებს შორის მომხდარი მოლაპარაკების დროს ვრცლად და გულახდილად იქნა განხილული ყველა საკითხი, რომლებიც ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ეხება, ამასთან გამოითქვა ორივე მხარის თვალსაზრისი.

ეს აზრთა გაცვლა ერთი მხრივ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა სრული ნდობის ვითარებაში და 1948 წელს დადებული მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების შესაბამისი მეგობრული სულისკვეთებით, ხელს შეუწყობს ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული კავშირისა და ურთიერთნდობის შემდგომი განმტკიცების საქმეს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

ქვემოთ ქვეყნდება 19 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი ტექსტები ოქმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმებისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო-საზღვაო ბაზად პორკალა-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებებზე საბჭოთა კავშირის უარისა და ამ ტერიტორიიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ.

# ოქმი

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 6 აპრილის ხელშეკრულების მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

გამოხატავენ რა თავიანთ განუხრელ მისწრაფებას თანამშრომლობისადმი საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესებისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

სურთ რა ხელი შეუწყონ სსრ კავშირსა და ფინეთს შორის შექმნილი მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას,

აღნიშნავენ რა, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1948 წლის 6 აპრილს სსრ კავშირსა და ფინეთს შორის, შეესაბამება ორივე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს და ხელს უწყობს ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრას,

გადაწყვიტეს ხელი მოაწერონ ამ ოქმს და დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი,

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — პრემიერ-მინისტრი ურხო კეკონენი და თავდაცვის მინისტრი ემილ სკუგი,

რომლებიც თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვანი ფორმით და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1

შესაცვლელად მე-8 მუხლის დადგენილებებისა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების იმ ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 6 აპრილს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის, ეს ხელშეკრულება ძალაში დარჩება 20 წლის განმავლობაში ამ ოქმის ძალაში შესვლის მომენტიდან.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ იტყვის უარს ხელშეკრულებაზე, იგი ძალაში დარჩება შემდგომი ხუთი წლისათვის და ასე ყოველთვის, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე არ გააკეთებს მიმდინარე ხუთი წლის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე წერილობითს გაფრთხილებას, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

### მუხლი 2.

ეს ოქმი უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს დღიდან სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისა, რომელიც მოხდება ქალაქ ჰელსინკში რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

რის დასადასტურებლად რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს და დაასვეს თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია ქ. მოსკოვში, 1955 წლის 19 სექტემბერს, ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ფინურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით | ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით |
| --- | --- |
| ნ. ბულგანინი. | ურხო კეკონენი, ემილ სკუგი. |

# შეთანხმება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის საბჭოთა კავშირის მიერ სამხედრო-საზღვაო ბაზისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებებზე უარის თქმისა და ამ ტერიტორიიდან საბჭოთა შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა,

მხედველობაში იღებენ რა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის კეთილსასურველად ვითარდება და ურთიერთნდობა მათ შორის გამუდმებით მტკიცდება,

ითვალისწინებენ რა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, ხელმოწერილი 1948 წლის 6 აპრილს, უზრუნველყოფს პირობებს ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის,

მხედველობაში იღებენ რა, რომ საბჭოთა კავშირმა, ფინეთის რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად, შესაძლებლად მიიჩნია ვადამდე თქვას უარი პორკალა-უდის ტერიტორიის იჯარის უფლებებზე, რაც მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირს, და გაიყვანოს იქიდან თავისი ჯარები,

გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება და დანიშნეს თავიანთ რწმუნებულებად:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი,

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა — პრემიერ-მინისტრი ურხო კეკონენი და თავდაცვის მინისტრი ემილ სკუგი, რომლებიც, თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც მიჩნეულია ნამდვილად და ჯეროვანი ფორმით შედგენილად, შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უარს ამბობს ფინეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ ყველა უფლებაზე ისარგებლოს და მართოს მთელი სახმელეთო და წყლის ტერიტორიები, რომლებიც ფინეთის რესპუბლიკამ თავდაპირველად იჯარით მისცა დაზავების შესახებ 1944 წლის 19 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმების მე-8 მუხლის შესაბამისად და რომელთა იჯარით გადაცემა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის 50 წლის ვადით პორკალა-უდის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად დაადასტურა შემდეგ პარიზში 1947 წლის 10 თებერვალს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლში.

ამავე დროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უარს ამბობს ფინეთის რესპუბლიკის სასარგებლოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისათვის ხსენებული საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გარანტირებულ ყველა უფლებაზე ისარგებლოს რკინიგზებით, სახმელეთო გზებით, გზატკეცილებითა და საჰაერო გზებით პორკალა-უდის ნახევარკუნძულზე, აგრეთვე იმ უფლებებზე, რომ ისარგებლოს იქ გაყვანილი კავშირგაბმულობის საშუალებებით.

### მუხლი 2.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი I მუხლში ხსენებული ტერიტორიებიდან გაიყვანს მთელ თავის შეიარაღებულ ძალებს და გადასცემს ამ ტერიტორიებს ფინეთის რესპუბლიკის სრულუფლებიან მართვაში სამი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოხდება ამ შეთანხმების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა.

### მუხლი 3.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი გადასცემს ფინეთის რესპუბლიკას 1 მუხლში გათვალისწინებულ ტერიტორიებს და იქ არსებულ ქონებას ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისინი იქნება მე-2 მუხლში გათვალისწინებული ვადისათვის, აგრეთვე თავისუფალს ყოველგვარი გადასახდელისაგან, გადასახადისაგან ან სხვა შესაძლო დატვირთვებისა თუ უფლებებისაგან, რომლებიც შესაძლოა იჯარის პერიოდში წარმოიშვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ან მისი საზოგადოებების, გაერთიანებებისა თუ მოქალაქეების სასარგებლოდ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ამასთან უსასყიდლოდ გადასცემს ფინეთის რესპუბლიკას ყაზარმის, საცხოვრებელ და საწყობის შენობებს, კავშირგაბმულობის ობიექტებს, ნავსადგურის მოწყობილობას ნავმისაბმელებით და სხვა ნაგებობებს, რომლებიც საბჭოთა მხარემ ააშენა პორკალა-უდის ტერიტორიაზე და რომლებსაც საბჭოთა სარდლობა ამ ტერიტორიაზე დატოვებს საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ.

### მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ წარუდგინონ ერთმანეთს მე-2 მუხლში გათვალისწინებული ვადის შემდეგ არავითარი მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ, რომელიც გამოწვეული იქნება იმით, რომ 1 მუხლში გათვალისწინებული ტერიტორიები იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მართვაში, ან იმით, რომ ეს ტერიტორიები ამ შეთანხმების თანახმად უბრუნდება ფინეთის რესპუბლიკას სრულუფლებიან მართვაში.

### მუხლი 5.

უნდა მოხდეს ამ შეთანხმების რატიფიკაცია და იგი ძალაში შევა დღიდან სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისა, რომელიც მოხდება ქალაქ ჰელსინკში რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

რის დასადასტურებლად ზემოთ დასახელებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და დაასვეს თავიანთი ბეჭდები.

შედგენილია ქ. მოსკოვში, 1955 წლის 19 სექტემბერს, ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ფინურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

| სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით | ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებით |
| --- | --- |
| ნ. ბულგანინი. | ურხო კეკონენი. ემილ სკუგი. |

სადღეისო თემაზე

## უდანაკარგოდ ავიღოთ შაქრის ჭარხალი

კიდევ რამდენიმე დღე და დაიწყება შაქრის ჭარხლის მოსავლის მასობრივად აღება, მუშაობას განაახლებს საქართველოს შაქრის ქარხანა.

მოსავლის აღება ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი სამუშაოა შაქრის ჭარხლის მოყვანის სამუშაოთა შორის.

გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება და დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარება ცუდად იყო ორგანიზებული. კასპის, ქარელისა და ლენინგორის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში დიდად იყო დაშორიშორებული ჭარხლის აღება და მისი დამამზადებელ პუნქტებში ჩაბარება. ეს იწვევდა აღებული მოსავლის წონის მკვეთრ შემცირებას და მისი კონდიციის გაუარესებას. შარშან სერიოზული ნაკლოვანებები იყო აგრეთვე ჭარხლის გადაზიდვაზე მომუშავე ავტო და საჭაპანო ტრანსპორტის მუშაობაში.

რესპუბლიკის შაქრის ჭარხლის მთესველი რაიონები (გორი, ხაშური, კასპი, ქარელი, სტალინირი, ლენინგორი, ზნაური) წელს სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან. მათ შემჭიდროებულ ვადებში, უდანაკარგოდ უნდა აიღონ და დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარონ 5 ათას ჰექტარზე აღებული ჭარხლის მოსავალი.

კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ შაქრის ჭარხლის სანიმუშოდ აღებისა და ჩაბარებისათვის?

ჭარხლის ამოღება-გადაზიდვის ვადების შესახებ სადირექტივო ორგანოების დადგენილების საფუძველზე კოლმეურნეობები ადგენენ ამ სამუშაოთა შესრულების დეტალურ გრაფიკს, რომელსაც აცნობენ თვითეულ ბრიგადასა და რგოლს. ამასთან ასეთი გრაფიკების შედგენისას მხედველობაში იღებენ პლანტაციის საერთო მდგომარეობას, ჭარხლის განვითარებას ცალკეულ ნაკვეთებზე და ამის შესაბამისად აწესებენ მათი აღების ზუსტ ვადებს.

შაქრის ჭარხლის აღების დაწყებამდე სრულ წესრიგზე უნდა მოვიყვანოთ მოსავლის ასაღები მანქანები და ინვენტარი, აღებული ჭარხლის ასაზომი გოდრები, სატრანსპორტო საშუალებანი.

განსაკუთრებული გულმოდგინებაა საჭირო შაქრის ჭარხლის ამოღებისა და გასუფთავების დროს. შაქრის ჭარხლის ძირები არ უნდა იყოს მექანიკურად დაზიანებული, მოძრული და გარეშე მინარევებით დანაგვიანებული.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მიწიდან ჭარხლის ამოღება, გასუფთავება და გაზიდვა მოეწყოს 24 საათის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, როცა შაქრის ჭარხლის გადაზიდვა-ჩაბარება ამ დროში არ ხერხდება, გაუზიდავ ჭარხალს დაუყოვნებლივ ვდგამთ მინდვრად ზვინებად — თვითეულ ზვინში არანაკლებ სამი ტონის რაოდენობით და ვფარავთ მიწით.

სერიოზული მოვალეობა აკისრია შაქრის ქარხნის ხელმძღვანელობას. შაქრის ჭარხლის მიღების დაწყებამდე მან სრულ წესრიგზე უნდა მოიყვანოს ქარხანასა და მიმღებ პუნქტებთან მისასვლელი გზები, მოედნები, რათა ამ მიზეზით ერთ წუთსაც არ შეფერხდეს ჭარხლის ჩაბარება.

რკინიგზელთა საპატიო ამოცანაა დროულად უზრუნველყონ შაქრის ჭარხლის ჩასატვირთავად საჭირო ვაგონების მიწოდება, დაიცვან ჭარხალი გადაზიდვის დროს განიავებისა და გაფუჭებისაგან.

შაქრის ჭარხლის ჩაბარების სანიმუშო ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ავტო და საჭაპანო ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აუცილებლად სრულდებოდეს ტრანსპორტით ჭარხლის გადაზიდვის ყოველდღიური და ხუთდღიური გრაფიკები.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დამამზადებელი პუნქტების გამართულ მუშაობას. ეს პუნქტები უნდა მუშაობდნენ რიტმულად, მთელი დღეღამის განმავლობაში.

პარტიული ცხოვრება

## საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და სილოსის დამზადება

სოფელში მისვლისთანავე იგრძნობა კომუნისტების დამრაზმავი, მაორგანიზებელი როლი. კოლმეურნეობის კანტორის ახლოს მოჩანს მოწინავეთა დაფა, ფოტოვიტრინა, არტელის ეკონომიკის ზრდის ამსახველი დიაგრამები. სოფლის თითქმის ყველა ქუჩაზე გაკრულია ტილოები ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ კოლმეურნეებს იბრძოლონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

— თვითეულ ძროხაზე 7 ტონა სილოსი! — ასეთი ვალდებულება აიღეს სოფელ ავნევის კოლმეურნეებმა. ეს პატარა ვალდებულება როდია.

ავნევის კოლმეურნეობა მოწინავეა ზნაურის რაიონში. ავნეველებს ხორბლისა და სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის მაღალი მოსავალი მოჰყავთ. მებაღეობის ბრიგადამ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის უფლება მოიპოვა — 34 ჰექტარი ხეხილის ბაღის თვითეულ ჰექტარზე 125 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ვაშლი მიიღო.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანია საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის წვლილი. მოფიქრებულად არიან განაწილებული კომუნისტები ბრიგადებში, რგოლებში, საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე და პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ კოლმეურნეებს ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, ყოველდღიურად ეწევიან მასებში ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობას.

მაგრამ ერთი დიდი ხარვეზი ჰქონდა ავნევის კოლმეურნეობას. ავნეველებს არასოდეს არ შეუსრულებიათ პირუტყვის წველადობის გეგმა. კოლმეურნეობას ჰყავდა ჯიშიანი ძროხებიც, მაგრამ წველადობა მაინც დაბალი იყო, რადგან საკვები არ ჰყოფნიდათ. განსაკუთრებით ცოტა იყო წვნიანი საკვები. საჭირო იყო მეცხოველეობის დარგში არსებული ჩამორჩენის გამოსწორება.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ვ. დავითიძე გვესაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

— სილოსის დამზადებას, — ამბობს იგი, — წინათ ჩვენთან ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. წელს გადაწყვეტილი გვაქვს თვითეულ ძროხაზე 7 ტონა სილოსი დავამზადოთ. შარშან მხოლოდ 270 ტონა სილოსი ჩავდეთ — თვითეულ ძროხაზე 2 ტონაზე ნაკლები. მიუხედავად ამისა, სილოსის ამ მცირე რაოდენობის გამოყენებამაც კი დიდად შეუწყო ხელი წველადობის გადიდებას. 1 აგვისტოსათვის თვითეულ ძროხაზე მიღებულია 800 ლიტრი რძე, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 600 ლიტრისა.

პარტიული ორგანიზაცია კომუნისტების, კომკავშირელების დამრაზმავ როლს იქითკენ წარმართავს, რომ უზრუნველყოფილ იქნას სილოსის დამზადების საქმეში ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდება. ჯერ კიდევ ივნისში ღია პარტიულ კრებაზე მოისმინეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის ს. კაბისოვის მოხსენება „სილოსის დამზადება და კომუნისტების ამოცანები“. სწორედ ამ კრებაზე დაიბადა აზრი თვითეულ ძროხაზე 7 ტონა სილოსის დამზადების შესახებ, რომელსაც კომუნისტებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

მაგრამ პარტიული კრების გადაწყვეტილება ერთია და მისი შესრულება მეორე. კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით არ ჰქონდა სასილოსე ნაგებობანი, მცირე იყო წვნიანი მასა. კომუნისტების წინაშე წამოიჭრა ამოცანა აეშენებინათ 1.050 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკები და დაემზადებინათ ამდენივე რაოდენობის მწვანე მასა. ავნეველი კომუნისტები ამ სიძნელეების წინაშე არ შედრკნენ.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობაში შეიქმნა სამშენებლო ბრიგადა, რომელშიც 24 კომუნისტი გაერთიანდა. კალატოზები, მებეტონეები, დურგლები — ყველანი ერთსულოვნად მუშაობდნენ სასილოსე კოშკების მშენებლობაზე, ბრიგადის სული და გული კომუნისტები დ. დოჩიევი, შ. კაბისოვი, რ. ჯავახიშვილი, შ. კვალიძე არიან. თვენახევარში მშენებლებმა 300 ტონის ტევადობის 3 სასილოსე კოშკი და 1 სახბორე ააგეს 120 სულისათვის. ამ დღეებში დამატებით დამთავრდა 400 ტონის ტევადობის 3 სასილოსე ორმოს აგება.

როცა მშენებლები სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაზე მუშაობდნენ, კომუნისტების მეორე ჯგუფი სილოსის ჩადებას აწარმოებდა.

კომუნისტების ორგანიზაციულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მოკლე ხანში ავნეველმა კოლმეურნეებმა მარტო გარეული ბალახებისა და ესპარცეტის მწვანე მასისაგან 400 ტონა სილოსი დაამზადეს. ეს ერთნახევარჯერ აღემატება შარშან მთელი წლის განმავლობაში დამზადებული სილოსის რაოდენობას. დამატებით ავნეველები კიდევ 650 ტონა სილოსს ჩადებენ. აქეთკენ არის ახლა მიმართული კომუნისტების, აგიტატორების მთელი ყურადღება.

კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ლ. კუჭულაშვილმა პარტიული ორგანიზაციის დავალებით ორჯერ წაიკითხა ლექცია სილოსის როგორც პირუტყვის წვნიანი საკვების მნიშვნელობაზე. ამავე თემაზე კოლმეურნეთა წინაშე მოხსენებით გამოვიდა ზნაურის მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ი. რაზმაძე. ავნევის სასოფლო კლუბის ლექტორიუმში რამდენიმე სპეციალური ლექცია მოეწყო პირუტყვის საკვები ბაზის შესახებ. მემინდვრეობის ბრიგადებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა თემებზე საინტერესო, კოლმეურნეობის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საუბრებს აწყობენ აგიტატორები თ. სანაკოევა, ქ. ბაზუციძე, ს. ბიწროვა, ვ. თედეევი, მ. ნადირაძე და სხვები. ამასთან საგულისხმოა, რომ პარტბიუროს აგიტატორებად გამოყოფილი ჰყავს არა მარტო სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, არამედ მოწინავე კოლმეურნეებიც, რომლებიც თავდადებული მუშაობით საუკეთესო მაგალითს უჩვენებენ მშრომელებს.

ავნეველებს წელს 100 ჰექტარი სანაწვერალო სიმინდი უთესიათ. მოსავალს კარგი პირი უჩანს. სიმინდის ორი მოსავალი — ეს პირველი შემთხვევაა ავნევში! სანაწვერალო სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში და მწვანე მასა გამოყენებული იქნება სასილოსედ. კოლმეურნეობას მწვანე მასის დიდ რაოდენობას მისცემს აგრეთვე შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეული კულტურების ნათესები, რომელთა მოსავალი წელს გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად მაღალია.

— რაც უფრო მეტია სილოსი, მით უფრო მაღალია ძროხების წველადობა! — ეს კარგად იციან ავნეველმა კომუნისტებმა და ბეჯითად, შეუპოვრად მუშაობენ თვითეულ ძროხაზე 7 ტონა სილოსის დასამზადებლად.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

მცხეთა. (საკ. კორ.). მოეწყო რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელმაც მოისმინა საინსტრუქტაჟო მოხსენება პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ და რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა მტს-ის ზონაში პარტორგანიზაციების მდივნებთან ერთად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მოაწყეს საუბრები, დააზუსტეს პოლიტიკური სწავლების რომელ ფორმაში სურთ კომუნისტებს მეცადინეობა ახალ სასწავლო წელს.

ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კომუნისტების სურვილით წელს მათთვის შეიქმნა პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი სემინარი. ასეთივე სემინარი შექმნილია ნატახტარის სასელექციო სადგურის პარტიულ ორგანიზაციასთან. მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტიულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი.

დიდი ყურადღება ექცევა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა სწავლებას. მათთვის რაიკომი პერიოდულად მოაწყობს ლექციების ციკლის კითხვას.

## საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

კასპი. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით მეტეხის აგურის ქარხნის კოლექტივმა სამშენ მასალათა საწარმოების სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე პრემია მოიპოვა.

ამ ცნობამ მეტეხელი მეაგურეები ახალი შრომითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანა. მათ აგვისტოს თვის საწარმოო გეგმა 3 დღით ადრე — 28 აგვისტოს შეასრულეს. აღებულ მაღალ ტემპს მეტეხელი მეაგურეები სექტემბერშიც ინარჩუნებენ. ისინი სისტემატურად ასრულებენ აგურის გამოწვის გეგმებს და იძლევიან მაღალხარისხოვან პროდუქციას.

* * *

„ზაგოტზერნოს“ საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში მოსკოვიდან მიიღეს ცნობა მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ. საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს გადაწყვეტილებით „ზაგოტზერნოს“ ქუთაისის სარეალიზაციო ბაზის კოლექტივს მიეკუთვნა მესამე პრემია. სსრ კავშირის დამზადების მინისტრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადათ მახარაძის, ზუგდიდის, დიდუბის, ხაშურისა და მარნეულის სარეალიზაციო ბაზების კოლექტივებს.

* * *

**თბილისის** თამბაქოს პირველი ფაბრიკის კოლექტივი მიმდინარე წლის მეორე კვარტალის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა — მას მიენიჭა მესამე პრემია. მეორე კვარტალში ფაბრიკაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 104,8 პროცენტით, ნატურაში — 104,6 პროცენტით; დაზოგილია 5 ტონა თამბაქო და 2 ტონა სამუნდშტუკე ქაღალდი, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 322 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ფაბრიკის კოლექტივი ორი კვარტალის განმავლობაში ინარჩუნებს სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს თამბაქოს ტრესტის გარდამავალ წითელ დროშას. რვა თვეში გეგმის გადამეტებით დამზადებულია 234,6 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი. კოლექტივი წარმატებით განაგრძობს მუშაობას.

## ვინ უშვებს დაბალხარისხოვან პროდუქციას

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ ამას წინათ მოახდინა რესპუბლიკის არტელების, რაისამრეწველო კომბინატების და სხვა საწარმოების მიერ გამოშვებული სამრეწველო საქონლის ხარისხის შემოწმება.

**ზესტაფონის რაიონის სამრეწველო** კომბინატის მაღაზიაში ინსპექციამ შეამოწმა ამავე კომბინატის სატრიკოტაჟო საწარმოს მიერ გამოშვებული ვისკოზური აბრეშუმისაგან ნაქსოვი მაისურები, რომლებიც უხარისხო აღმოჩნდა. ინსპექციამ აუკრძალა სავაჭრო ორგანიზაციებს ზესტაფონის რაისამრეწველო კომბინატის სატრიკოტაჟო ნაწარმის გამოტანა მაღაზიებში, სანამ ამ ნაწარმის ხარისხს გადაჭრით არ გააუმჯობესებენ.

**12 აგვისტოდან აეკრძალა ტანსაცმლისა და** თეთრეულის შესანახი კარადების გამოშვება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სისტემის უსინათლოთა საზოგადოების საწარმოთა სამმართველოს ხისდამმუშავებელ საწარმოს. სავაჭრო ორგანიზაციებს მიცემული აქვთ მითითება გააუქმონ ამ საწარმოსათვის მიცემული დაკვეთები და გასაყიდად არ მიიღონ დეფექტიანი კარადები.

**ქიათურის არტელს — „ქალა ერთობაშია“** აეკრძალა შეკერილი ზედა ტანსაცმლის, ე. წ. „ტოლსტოვური ხალათების“ გამოშვება, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს დაეკისრათ არ მიიღონ სარეალიზაციოდ ეს ხალათები, სანამ არტელი არ უზრუნველყოფს მათი ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას.

**ასევე აეკრძალათ სავაჭრო მაღაზიებს ქიათურის** მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების სახელოსნოს მიერ გამოშვებული საზაფხულო მოკლე ქვედა საცვლების მიღება და მომხმარებლებისათვის მიწოდება, სანამ სახელოსნო არ გააუმჯობესებს მის ხარისხს.

**საქვაჭრობას ზესტაფონში გახსნილი აქვს** სამკერვალო სახელოსნო, რომელიც უშვებს შეკერილ შარვლებს, გარეთა პერანგებს, გიმნასტურებს და სხვა შეკერილ ტანსაცმელს. ამ პროდუქციის ხარისხი შემოწმებისას არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და ამის გამო სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალათ მათი მიღება და რეალიზაცია.

**თბილისის საბჭოს საქალაქო საბინაო სამმართველოს საწარმოო კომბინატს** აეკრძალა სარწყავებისა და თუნუქის პირსაბანების გამოშვება, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციებს მითითებული აქვთ არ მიიღონ ეს პროდუქცია სავაჭრო ქსელში, სანამ მათი ხარისხი სათანადოდ არ იქნება გაუმჯობესებული.

**თბილისის ფანერის ქარხანა ამზადებს ერთნახევრიანი ზომის ხის საწოლებს,** რომლებიც თავისი ხარისხით არ შეესაბამება დაშვებულ სტანდარტს. სავაჭრო ორგანიზაციებს მიეთითათ მოახდინონ ამ საწოლთა ხელახალი შემოწმება და მარკირება მათი ხარისხის მიხედვით, ხოლო საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს მიცემული აქვს მითითება უზრუნველყოს ფანერის ქარხნის მიერ მაღალხარისხოვანი ხის საწოლების გამოშვება.

**საჩხერის არტელს „თვითშრომას“** აეკრძალა რკინის ღუმელების გამოშვება და სავაჭრო ქსელში გატანა, სანამ არ გააუმჯობესებს ამ ნაწარმის ხარისხს.

* * *

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ინსპექციის რესპუბლიკურმა სამმართველომ ნება დართო სავაჭრო ორგანიზაციებს განაახლონ უსინათლოთა საზოგადოების გარეუბნის განყოფილების ქარხნის „მეხშუბას“ მიერ გამოშვებული სასაათე თასმების მიღება და რეალიზაცია მათი ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების გამო.

ნებადართულია აგრეთვე თბილისის არტელ „ყაზბეგის“ მიერ გამოშვებული ქალის ტუფლების მიღება და რეალიზაცია სავაჭრო ქსელში.

სტალინირის არტელს „წითელ ოქტომბერს“ ნება აქვს დართული განაახლოს მამაკაცის გარეთა პერანგებისა და საცვლების შეკერვა და სავაჭრო ქსელისათვის გადაცემა.

## რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ბრძოლა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისათვის

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მრავალმხრივ მოღვაწეობაში, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული გენიალური ლენინისა და მისი მოწაფის დიდი სტალინის სახელებთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის ბრძოლას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპებისათვის, ამიერკავკასიის მშრომელთა შორის მტკიცე და ურღვევი მეგობრობის დანერგვისათვის.

ამიერკავკასიაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი ლენინური პრინციპების დამკვიდრება და ამ პრინციპების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდა დაკავშირებული იყო უდიდეს სიძნელეებთან. სიძნელეები არა მარტო იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ამოცანების განხორციელება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტსა და მის ადგილობრივ კომიტეტებს უხდებოდათ ცარიზმისა და მისი კავკასიელი სატრაპების სასტიკი დევნის პირობებში, ამასთან ერთად საქართველოსა და ამიერკავკასიაში არსებობდნენ მრავალრიცხოვანი ნაციონალისტური მიმდინარეობანი, რომლებიც დაბრკოლებებს უქმნიდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ინტერნაციონალური კავშირის, ძმური მეგობრობისა და რევოლუციური მოქმედების ერთიანობის დამკვიდრებას. ესენი იყვნენ ამიერკავკასიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესების გამყიდველები: ქართველი ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტები, მენშევიკები, დაშნაკები და სხვა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები.

საჭირო იყო ამ სიძნელეთა დაძლევა, მშრომელთა აღზრდა ლენინური პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მათი დარაზმვა, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მათი მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფა, რასაც ხელი მოჰკიდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ამიერკავკასიის მშრომელებს შორის ცარიზმის მიერ ხელოვნურად აღმართული ნაციონალური კედლების დანგრევასა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების დამკვიდრებაში ძირითადი და გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების აგებამ ინტერნაციონალიზმის საწყისებზე.

აფასებდა რა ამიერკავკასიის მშრომელთა დარაზმვის საქმეში ორგანიზაციის ინტერნაციონალური ტიპის მნიშვნელობას, ი. ბ. სტალინი ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ წერდა: „თუ კავკასიელებმა მოახერხეს სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ხოცვა-ჟლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში, ნაციონალური ჯგუფების ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან კალაპოტში, — ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურმა წყობამ.

... ორგანიზაციის ინტერნაციონალური ტიპი წარმოადგენს ამხანაგური გრძნობების სკოლას, უდიდეს აგიტაციას ინტერნაციონალიზმის სასარგებლოდ“. (ტ. II, გვ. 393).

ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ურთიერთნდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პროფესიონალ რევოლუციონერთა, პროპაგანდისტთა და აგიტატორთა მრავალრიცხოვანმა კადრებმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც რუსი, ისე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის საუკეთესო შვილები. ისინი ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე, მუშათა ღია თუ არალეგალურ კრებებზე და სხვადასხვა დისკუსიების დროს, — ყველგან და ყოველთვის, სადაც და როდესაც კი ეს ოდნავ შესაძლებელი იყო, ეწეოდნენ მრავალეროვანი კავკასიის ხალხებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების პროპაგანდას, აწარმოებდნენ შეუპოვარ ბრძოლას ყველა ჯურის ნაციონალისტების წინააღმდეგ.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული, ფასდაუდებელი როლი შეასრულეს ი. ბ. სტალინთან ერთად მისმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა მ. ცხაკაიამ, ა. წულუკიძემ, ლ. კეცხოველმა, სტ. შაუმიანმა, ს. სპანდარიანმა, ა. ჯაფარიძემ და სხვ.

ამრიგად, ვ. ი. ლენინის მიერ ნაციონალური საკითხის მარქსისტული ცოდნით შეიარაღებული პროფესიონალ რევოლუციონერთა კადრები წარმოადგენდნენ იმ არმიას, რომელიც უაღრესად ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური შემჭიდროებისათვის, პროლეტარიატისა და გლეხობის პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებისათვის, ბურჟუაზიული შოვინიზმის გამოაშკარავებისა და აღმოფხვრისათვის.

ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ამიერკავკასიის მშრომელთა აღზრდის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში გამოცემულმა მრავალრიცხოვანმა ბოლშევიკურმა არალეგალურმა და ლეგალურმა გაზეთებმა. ბოლშევიკური გაზეთები რევოლუციის ყველა ეტაპზე წარმოადგენდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების მგზნებარე პროპაგანდისტსა და აგიტატორს.

ამიერკავკასიის მიმართ მეფის მთავრობის ვერაგული პოლიტიკა — ერთი ერის მეორის წინააღმდეგ ამხედრების პოლიტიკა — განსაკუთრებით ფართო გამოყენებას პოულობს რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. ამჯერად ცარიზმის ამ სისხლიანი პოლიტიკის გამტარებელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში იყო კავკასიის მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც რევოლუციის დაწყებისთანავე შეუდგა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებას და ხოცვა-ჟლეტის ორგანიზაციას.

ამიერკავკასიის მშრომელებს შორის მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა უაღრესად ენერგიული ზომები მიიღო. კავკასიის კავშირის კომიტეტი და მისი ადგილობრივი კომიტეტები, პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინური კადრები, მთელი ბოლშევიკური პრესა მასების წინაშე ააშკარავებდნენ მეფის მთავრობას, მის კავკასიელ სატრაპებს, რომლებიც სისხლიან ტრაგედიას ამზადებდნენ ამიერკავკასიაში.

მაგრამ ამის მიუხედავად, ხოცვა-ჟლეტის თავიდან სავსებით აცილება მაინც შეუძლებელი გახდა. მეფის მთავრობამ და მისმა მსახურებმა ბაქოში ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს თავიანთ ბარბაროსულ მიზანს.

1905 წლის 6 თებერვალს, დღის 12 საათზე, ბაქოს გუბერნატორის წარდგენით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წინასწარ შედგენილი და ყოველმხრივ დამუშავებული გეგმით ბაქოში დაიწყო თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტა.

მეფის მთავრობის ამ საზიზღარი ღონისძიების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა იმ დღეებში ამიერკავკასიის თითქმის ყველა ცენტრსა და ქალაქში მოაწყო მიტინგები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა ეროვნების მუშებმა.

მეფის მთავრობამ და მისმა კავკასიელმა აგენტებმა განიზრახეს ბაქოს ამბები გაემეორებინათ თბილისშიც, მოეწყოთ სისხლიანი ტრაგედია და შემდეგ პროვინციებშიც გადაეტანათ იგი. წინააღმდეგ მეფის მთავრობის პროვოკაციული ცდისა, 13 თებერვალს თბილისში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ეწყობა გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ათასმა ქართველმა, რუსმა, სომეხმა და თათარმა. ეს იყო თბილისის სხვადასხვა ეროვნებათა პროლეტარიატის ინტერნაციონალური ერთიანობის ბრწყინვალე დემონსტრაცია.

ექვსი თვის იძულებითი უკანდახევის შემდეგ, 1905 წლის აგვისტოში მეფის მთავრობა ხოცვა-ჟლეტის ახალ ცდას მიმართავს ბაქოში. მაგრამ ბაქოს კომიტეტის მიერ მიღებულმა ზომებმა პირველ დღესვე ჩაშალა მთავრობის გეგმები, მისი განზრახვები. მეფის მთავრობა ოქტომბერშიც შეეცადა გაემეორებინა ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ ამჯერადაც ჩაიშალა მისი გეგმები. მეფის მთავრობისათვის არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია მის უკანასკნელ ცდას ნოემბერშიც.

მაგრამ ბაქოს გაკვეთილები მეფის მთავრობისათვის არასაკმაო აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ აეღო ხელი ხოცვა-ჟლეტის მოწყობის ახალ ცდაზე. მეფის მთავრობამ კვლავ განიზრახა ახალი ხოცვა-ჟლეტის მოწყობა, მაგრამ უკვე არა ბაქოში, არამედ კავკასიის ცენტრში — თბილისში.

როგორც კი გაისმა პირველი პროვოკაციული გასროლა, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოწოდებით თბილისის თითქმის ყველა უბანსა და რაიონში მოეწყო საპროტესტო მიტინგები, გაფიცვები და დემონსტრაციები. 23 ნოემბერს ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო თავისი გრანდიოზულობით უმაგალითო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასამდე კაცმა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ მიღებული ენერგიული ზომების შედეგად ხოცვა-ჟლეტა თბილისში პირველ დღესვე შეწყდა.

ამრიგად, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით გაწეული დაძაბული შრომისა და ნაციონალისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მტკიცე და ურღვევი საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის ექსპლოატირებულ ხალხთა დიად მეგობრობას.

* * *

ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის ბრძოლა მხოლოდ ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ეწეოდა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის დიდი რუსი ხალხისადმი ნდობისა და პატივისცემის დანერგვის დარგში.

ისე როგორც ვ. ი. ლენინმა ჩაუნერგა დიდ რუს ხალხს ამიერკავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებისადმი მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობა, ი. ბ. სტალინმა, მისმა თანამებრძოლებმა აღზარდეს ამიერკავკასიის მშრომელები დიდი რუსი ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. ამიტომ იყო, რომ რუსი მუშები და რევოლუციონერები, რომლებსაც ნებით თუ უნებლიეთ ჩვენში უხდებოდათ მუშაობა და მოღვაწეობა, ამიერკავკასიას თავის მეორე სამშობლოდ თვლიდნენ.

მეფის მთავრობა არაერთხელ ცდილა უნდობლობისა და უთანხმოების გრძნობა გაეღვივებინა ამიერკავკასიაში რუს და ადგილობრივ მუშებს შორის. მაგრამ ამას არასოდეს არ მოჰყოლია მეფის მთავრობისათვის სასურველი შედეგები.

რუს და ამიერკავკასიის ადგილობრივ ეროვნებათა მუშებს შორის სოლიდარობა, რომელიც წარმოადგენდა დიდ რუს ხალხსა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის არსებული ისტორიული მეგობრობის გამოხატულებას, კიდევ უფრო მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ მათს ერთობლივ ბრძოლაში.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ამიერკავკასიის მშრომელთა აღზრდის საქმეში გაწეულ მუშაობას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეების სულისკვეთებით მასების აღზრდის დიდი და სახელოვანი ტრადიცია, თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა და თვლის საქართველოს მშრომელების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

გ. ჟვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლი

რამდენიმე ათეულ კილომეტრზე მოსკოვიდან, იქ, სადაც მინსკის გზატკეცილი გადაკვეთს დოროხოვო-პეტრიშჩევოს გზას, აღმართულია დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტ დამპყრობთა ხელით დაღუპული მამაცი პარტიზანის, საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას ბრინჯაოს ძეგლი. ახალგაზრდა გმირი ქალი გამოსახულია მთელი ტანით. მისი თვალი მიპყრობილია მშობლიური მოსკოვისადმი.

ძეგლის კვარცხლბეკის გარშემო ყვავილებია. აქ მუდამ განსაკუთრებით ბევრია ახალგაზრდობა. გზატკეცილით მიმავალი მანქანები გზაჯვარედინზე მანქანების სვლას ანელებენ...

...კვირას, 18 სექტემბერს, გმირი ქალის ძეგლთან იყო საბჭოთა კავშირში მყოფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ოტო გროტევოლსა და მთავრობის დელეგაციის წევრებს გულთბილად მიესალმნენ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის აქ მყოფი სტუდენტები და მასწავლებლები, რომლებიც ექსკურსიით არიან მოსკოვის ოლქში, ადგილობრივი კოლმეურნეები, მოსწავლეები.

დელეგაციამ ძეგლი გვირგვინით შეამკო. მის ლენტებზე წარწერილია: „პატივი და დიდება მამაც მებრძოლს დანაშაულებრივი ჰიტლერული არმიის წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისაგან“.

ამხანაგმა ოტო გროტევოლმა შეკრებილთ მიმართა და თქვა:

— გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია ამ ყვავილებით ამკობს პარტიზან ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლს და ამით პატივს სცემს საბჭოთა პატრიოტების ხსოვნას. პირობას ვაძლევთ საბჭოთა ადამიანებს, რომ გერმანელი პატრიოტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ომი აღარასოდეს არ იქნეს. ჩვენ გვსურს მშვიდობით ვიცხოვროთ საბჭოთა ხალხთან. გაუმარჯოს გერმანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!

ახალგაზრდობა მხურვალედ უკრავს ტაშს. ამხანაგები ოტო გროტევოლი და ვალტერ ულბრიხტი მაგრად ართმევენ ხელს სტუდენტებს, მასწავლებლებს, ადგილობრივ მცხოვრებთ.

— ჩვენ სიხარულით ვიმეორებთ ამხანაგ ოტო გროტევოლის სიტყვებს „გაუმარჯოს გერმანელი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობას!“, — აცხადებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი ნ. პ. კრასავჩენკო.

— ჩვენ, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, — ამბობს უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იური სიდორენკო, — გთხოვთ ჩვენი მხურვალე სალამი გადასცეთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სტუდენტსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ვილჰელმ პიკს.

ოტო გროტევოლმა და ვალტერ ულბრიხტმა ახალგაზრდობას უსურვეს წარმატება სწავლასა და კომუნიზმის მშენებლობაში. (საკდესი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ დარბაზობა გამართა საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ 19 სექტემბერს დარბაზობა გამართა საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ დელეგაციის წევრები მისი ხელმძღვანელის, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის პიერ შნეიტერის მეთაურობით, აგრეთვე ფრანგ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც დელეგაციას ახლავს.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

დარბაზობის დროს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. დ. ჩუბინიძემ და საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ პიერ შნეიტერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

დარბაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. (საქდესი).

# თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია

19 სექტემბერს სტალინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე პიერ შნეიტერი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

თბილისის აეროპორტის შენობა მორთულია საფრანგეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. 15 საათი და 45 წუთია. თვითმფრინავები, რომლებითაც ჩამოვიდნენ საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატები და მათი თანმხლები ფრანგი ჟურნალისტები, აეროდრომზე დაეშვნენ.

ფრანგი ხალხის წარმომადგენლებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. ა. კვესელავა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრიობისა და პრესის მრავალი წარმომადგენელი. პიონერებმა დამსწრეთა ტაშის გრიალში ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. მჭედლიშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებს.

საპასუხო სიტყვაში პიერ შნეიტერმა თქვა:

— ჩვენი დელეგაცია მოკლე ხნით მოგზაურობს საბჭოთა ქვეყანაში. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, ჩვენ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს. ეს სამსახურს გაუწევს საერთო საქმეს — მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას ჩვენს ხალხებს შორის.

შემდეგ პიერ შნეიტერმა განაცხადა:

— ფრანგ ხალხსაც, რომლის წარმომადგენელი აქ ჩვენ ვართ, უყვარს მშვიდობა. და დარწმუნებული ვართ, რომ საერთო მეცადინეობით განვამტკიცებთ მშვიდობას.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციამ ვიზიტი გაუკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მ. დ. ჩუბინიძეს. გულთბილად მიესალმა რა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატებს, მან გამოთქვა რწმენა, რომ მათი ჩამოსვლა სსრ კავშირში ხელს შეუწყობს მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას საბჭოთა და ფრანგ ხალხებს შორის.

დელეგაციის მეთაურმა, საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ პიერ შნეიტერმა მადლობა გამოთქვა საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩამოსვლის შესაძლებლობისათვის.

— ჩვენ გვწამს, — თქვა პიერ შნეიტერმა, — რომ კონტაქტები საჭიროა იმისათვის, რომ გავაწონასწოროთ მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში.

თბილისში ყოფნის პირველი დღე სტუმრებმა მოანდომეს რესპუბლიკის დედაქალაქის გაცნობას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს უფროსის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბ. ვ. ლორთქიფანიძის თანხლებით საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციის წევრები იყვნენ ქალაქის ორჯონიკიძის რაიონში, რომელიც ცნობილია როგორც უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა რაიონი, დაათვალიერეს მისი ახალშენებანი. ისინი იყვნენ აგრეთვე ქალაქის მთელ რიგ სხვა რაიონებში. ინტერესით გაეცნენ სტუმრები მეტეხის ციხეს — ქართველი ხალხის მეხუთე საუკუნის მატერიალური კულტურის ძეგლს.

თბილისის მცხოვრებნი ყველგან მეგობრულ შეხვედრას უმართავდნენ ფრანგი ხალხის წარმომადგენლებს. (საქდესი).

# თბილისიდან გაემგზავრა იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი

18 სექტემბერს თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა იაპონიის პარლამენტის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც მასარუ ნომიძო მეთაურობს.

აეროდრომზე იაპონელი პარლამენტარები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუჭავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარემ მ. მ. ლელაშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ა. კვესელავამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

გაფრენის წინ დ. ვ. მჭედლიშვილმა და მასარუ ნომიძომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

— ჩვენ, — განაცხადა მასარუ ნომიძომ, — ყოველ ღონეს ვიხმართ იაპონიასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მეგობრული კავშირის განმტკიცებისათვის.

(საქდესი).



თბილისის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის გარაჟში ამას წინათ დააყენეს „ზის-155“ მარკის ავტობუსების სარეცხი დანადგარი, რომელმაც შეცვალა ექვსი კაცის შრომა. დანადგარს ემსახურება ერთი კაცი, რომელიც ზის სამართავ პულტთან. გარეცხვაზე იხარჯება 1,5 წუთი, წინათ კი ბრიგადა ამას ნახევარ საათს უნდებოდა. ეს მოწყობილობა კანტორას მისცემს წელიწადში 60.000-მდე მანეთ ეკონომიას. გარეცხვის ხარისხი გაუმჯობესებულია. სურათზე: ავტობუსის სარეცხი დანადგარი.

ფოტო ო. თურქიასი.

# მტს-ი სკოლას ეხმარება

ზაფხულის მზიანი დღე იყო. მოსწავლეები კოლმეურნეობას ეხმარებოდნენ სიმინდის თოხნაში. მუშაობის დამთავრების შემდეგ მათ გადაწყვიტეს ენახათ ის ნაკვეთი, სადაც კვადრატულ-ბუდობრივი წესით არის დათესილი სიმინდი.

აგერ გამოჩნდა თვალუწვდენი საკოლმეურნეო ყანები, მშვენიერი მწვანე კვადრატები. ბავშვებმა სიხარულით დაათვალიერეს საუკეთესოდ მოვლილი ნაკვეთები. მოსწავლეებმა ნახეს საკოლმეურნეო მინდვრებზე მომუშავე ტრაქტორები... ვანო გიგაური ტრაქტორიდან ჩამოხტა, საჭეს შემცვლელი მიუჯდა. ბავშვებმა სთხოვეს მოწინავე ტრაქტორისტს ეამბნა თავისი მუშაობის შესახებ. მოსწავლეები გატაცებით უსმენდნენ მას.

ბევრმა ინატრა სცოდნოდა ტრაქტორის მართვა. კასპის მტს-ის მუშაკები გულისხმიერად მოეკიდნენ მოსწავლეთა სურვილს. დაპირდნენ, რომ მტს-ის მექანიზატორები დახმარებას გაუწევდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესწავლაში. ასე დაიწყო ურთიერთმეგობრობა კასპის რუსულ საშუალო სკოლასა და კასპის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს შორის. ეს მეგობრობა ახლა ყოველდღიურად მტკიცდება და საინტერესო ხდება.

ამას წინათ მტს-ის დირექტორი ამხ. შ. ხორიაშვილი და მთავარი ინჟინერი ამხ. გ. აბაშიძე სკოლას ესტუმრნენ. სკოლის დირექტორ ამხ. ი. ჭეიშვილთან საუბრის დროს მათ განაცხადეს, რომ დახმარებას გაუწევდნენ სკოლას სახელოსნოს მოწყობაში. მექანიზატორებმა შეასრულეს თავიანთი დაპირება. მტს-მა სასწავლო სახელოსნოსათვის სკოლას გადასცა სახარატო დაზგა, სალესი ჩარხი, იარაღები, შიდაწვის ძრავი, ელექტრომოტორები და სხვ. მტს-ის წარმომადგენელი ხშირად არის სკოლაში, ეხმარება მას დანადგარების მოწყობაში.

გასულ წელს კასპის რუსულ საშუალო სკოლას დახმარება გაუწია სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანამ. სკოლის ნორჩ ნატურალისტებს მან აუგო სათბური.

სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს პოლიტექნიკური სწავლების დანერგვის საქმეში ერთგვარი გამოცდილება აქვს. სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი მოსწავლეთა სწავლისა და შრომის ნამდვილი ლაბორატორიაა. სწავლისა და შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან მოსწავლეები ა. არისტოვა, ლ. ალენინა, თ. ბერდუტინა, ს. გალუჩენკო, ვ. სააკაშვილი, ა. სულაძე, მ. არტამონოვა, ნ. ბაგროვი და სხვები. ნორჩი ნატურალისტები გულმოდგინედ უვლიან კურდღლებს, მტრედებს, კაკბებს, თევზებს.

წელს სასწავლო სახელოსნოში მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაეუფლონ ჩარხვას, ბურღვას, სადურგლო საქმეს.

ბიოლოგიის მასწავლებლები ელიზა მინასიანი და ვენერა ბიბილაშვილი ხშირად აწყობენ ექსკურსიებს კოლმეურნეობაში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, ულვივებენ მოსწავლეებს სოფლის მეურნეობისადმი ინტერესსა და სიყვარულს.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა სათანადოდ უნდა დააყენოს მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლება, კარგად გამოიყენოს ის დახმარება, რომელსაც სკოლას უწევენ კასპელი მექანიზატორები.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# ბავარელ მეცხოველეთა პირველი ნაბიჯები

ბავარი სვანეთის მაღალი მთების კალთებზე გაშენებული სოფელია. აქაური ალპური საძოვრები, საუკეთესო ბუნებრივი სათიბები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან მეცხოველეობის განვითარებისათვის.

ამ სოფლის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მზრუნველობით ეკიდებიან მეცხოველეობას და დიდ შემოსავალსაც იღებენ. სასოფლო-სამეურნეო არტელის მთელი ფულადი შემოსავლის თითქმის ორი მესამედი მეცხოველეობაზე მოდის.

პირუტყვის მოვლა-პატრონობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილების შემდეგ. აშენდა ტიპური სადგომი 200 სული პირუტყვისათვის. პარტიის მოწოდებით მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ წავიდნენ უნარიანი, საქმისმოყვარე ადამიანები.

შორეული მაღალმთიანი სოფლის მოწინავე მეცხოველეებმა უდიდესი სიხარულით შეიტყეს სკპ მორიგი XX ყრილობის მოწვევის ამბავი. ყრილობის აღსანიშნავად ფერმის მუშაკებმა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი აიღეს.

დილიდან გვიან საღამომდე არ ცხრება ფერმებში შემოქმედებითი შრომა. პარტიის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლაში კარგ მაჩვენებლებს აღწევენ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის (გამგე ქ. ჩანქსელიანი) მუშაკები. მათ შეასრულეს პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა, ხოლო წველადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გაადიდეს. ათნახევარ თვეში თვითეული საფურაჟე ძროხისაგან გეგმით გათვალისწინებული 680 ლიტრის ნაცვლად 700-ზე მეტი ლიტრი რძე მიიღეს.

ძროხების წველადობის გადიდებას დიდად შეუწყო ხელი პირუტყვის ნაკვეთმორიგეობითმა და საღლღამისო ძოვებამ, რაც აქ ფართოდ დანერგეს საზაფხულო საძოვრებზე.

წელს პრაქტიკაში შემოიღეს ხბოს ხელოვნური გამოკვება. ამ მიზნით შეიძინეს უროჟენკოს სისტემის საწოვრები და მათ უნარიანად იყენებენ. ხელოვნური კვების შედეგად გაადვილდა ხბოების გაზრდა, იმატა წველადობამაც.

პირუტყვის მოვლა-შენახვის მოწინავე ზოოტექნიკურ მეთოდებს ახლა ფერმის ყველა მუშაკი კარგად დაეუფლა. ამ მხრივ გამოირჩევა ძველი, გამოცდილი მწყემსი გიორგი გვიდიანი. იგი საუკეთესოდ უვლის 12 სულ ძროხას, აძოვებს შერჩეულ ადგილზე, სისტემატურად ასუფთავებს, დროზე კვებავს. შრომა და ამაგი დაუფასდა მწყემსს — კარგად მოვლილი ძროხები ჯანსაღადაც არიან და რძესაც უხვად იძლევიან. წლიური გეგმის გადამეტებით მან სამეურნეო წლის ათნახევარ თვეში 2.000 ლიტრზე მეტი რძე მიიღო და პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. მაგრამ გ. გვიდიანს ესეც ეცოტავება. იგი პირველ ოქტომბრამდე თვითეულ ძროხაზე 3.000 ლიტრი რძის მიღებას ვარაუდობს.

პირუტყვის კარგი მოვლით თავი ისახელა მ. ჩანქსელიანმა. იგი გ. გვიდიანს ეჯიბრება და იბრძვის მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე დ. ბენდელიანი, თ. ლიპარტელიანი, ი. ჩანქსელიანი და სხვ.

კარგ წარმატებას აღწევენ კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მუშაკები, ხოლო მეთხეობის ბრიგადამ 160 პროცენტით შეასრულა თხის სულადობის წლიური გეგმა. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითეული დედათხისაგან წელს კოლმეურნეებმა საშუალოდ 125 ლიტრი რძე მიიღეს. ეს წარმატება მოწინავე ადამიანების ა. გაზდელიანის, ლ. ლიპარტელიანის, ს. ჩანქსელიანის და სხვათა თავდადებული შრომის შედეგია.

კოლმეურნეობას აქვს საუკეთესო საფუტკრე მეურნეობა. ამჟამად გეგმით გათვალისწინებული ფუტკრის 52 ოჯახის ნაცვლად ჰყავთ 57 ოჯახი. თვითეული სკიდან კოლმეურნეები ყოველწლიურად 20-25 კილოგრამ თაფლს იღებენ.

მეცხოველეობის განვითარების გადამწყვეტი პირობაა მტკიცე საკვები ბაზა. ამიტომაც კოლმეურნეები ძალღონის დაუზოგავად შრომობენ უხვი საკვების დამზადებისათვის.

წლევანდლამდე კოლმეურნეობას არ გააჩნდა სასილოსე ნაგებობანი და არც სილოსის ჩადებაზე ზრუნავდნენ მაინცდამაინც. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ ეს ნაკლი გაითვალისწინეს. ხარკოველ და დნეპროპეტროვსკელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ ადგილობრივი საშენი მასალით აქ ააგეს 160 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. დამთავრდა დასილოსებაც. უკვე გათიბეს და ფერმებთან მიზიდეს 300 ტონა ბუნებრივი ბალახი. მოწინავე კოლმეურნეები ი. ჩანქსელიანი, ნ. ლიპარტელიანი, გ. ჩანქსელიანი, შ. ლიპარტელიანი, ვ. აფაქიძე ბეჯითად შრომობენ, თიბვის ყოველდღიურ ნორმას 130-160 პროცენტით ასრულებენ.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელები დიდ მზრუნველობას იჩენენ ფერმის მუშაკებზე, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, გათბობა-განათებით, საჭირო ხელსაწყოებით და ინვენტარით. საზამთრო ბინებში მწყემსებისათვის ცალკე გამოყოფილია დასასვენებელი ოთახები.

ბავარელ მეცხოველეებს დიდი გეგმები აქვთ დასახული. ისინი ამბობენ: მომავალი წლიდან საკუთარი ელექტროსადგური გვექნება; ფერმებში განვახორციელებთ შრომატევად სამუშაოთა მთლიან მექანიზაციას, შევიძენთ ჯიშიან პირუტყვს, ძროხებს ბაგურ შენახვაზე გადავიყვანთ და მაშინ ნახეთ როგორ გავადიდებთ მეცხოველეობის პროდუქტიულობას.

გაწეული მუშაობა იმის საწინდარია, რომ კოლმეურნეები დაპირებას შეასრულებენ.

დ. ბიწაძე.
ლენტეხის რაიონი.

# საუკეთესოდ მოვაწყოთ ყურძნის კრეფა-გადამუშავება

საქართველოს მევენახეებმა უკანასკნელ წლებში სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. მოწინავეთა გამოცდილებისა და აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვით შარშან ჩვენი რესპუბლიკის მევენახე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარების გეგმა 116 პროცენტით შეასრულეს.

ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ წელს დროზე, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შეასრულა ვენახის ყველა სამუშაო. ამიტომ ისინი ყურძნის მაღალ მოსავალს ელიან. ბარაქიანი რთველი ექნებათ გურჯაანის, თელავის, ახმეტის, წითელწყაროს, მაიაკოვსკისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებს, სამტრესტის წინანდლის, ნაფარეულის, ხირსის, კარდანახის, მანავის, ბომბორის, გიაურარხის საბჭოთა მეურნეობებს.

რამდენიმე დღე დარჩა მასობრივი რთვლის დაწყებამდე, რომელიც შეაჯამებს მევენახეთა მიერ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებს.

სამტრესტისა და საქართველოს შამპანური კომბინატის ქარხნებმა გასულ წელთან შედარებით მეტი ყურძენი უნდა გადაამუშაონ. ამიტომ საჭიროა მუშაობის უკეთ მოწყობა. არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც ყურძნის კრეფასა, გადაზიდვასა და გადამუშავებაში დაშვებული იყო შარშან. მაგალითად, ზოგიერთი კოლმეურნეობა დაზიანებულ, დაავადებულ ყურძენს დაუხარისხებლად კრეფდა და აბარებდა, რის გამო მათ განსაზღვრული თანხები ჩამოაკლდათ ჩაბარებული პროდუქციის ღირებულებიდან.

ცუდი სატრანსპორტო ჭურჭლისა და არაწესიერი ტრანსპორტირების გამო ზოგიერთი ჩამბარებელი დამამზადებელ პუნქტს დაჭყლეტილ ყურძენს აბარებდა. აფხაზეთის ასსრ, მაიაკოვსკისა და ქუთაისის რაიონებში იყო დაბალი შაქრიანობის ყურძნის მოკრეფა-ჩაბარების შემთხვევები, რამაც ხელი შეუშალა ხარისხოვანი ღვინოების დაყენებას.

გურჯაანისა და ველისციხის ღვინის ქარხნებში ჭურჭლის საჭირო რაოდენობით უქონლობის გამო ღვინოები დაქირავებულ ქვევრებში დააყენეს. ამან გაართულა ღვინოების მოვლა და ამასთან გააუარესა ხარისხი.

ყურძნის წვენის დასამზადებლად საჭირო დანადგარებით, აპარატებითა და ტარით უზრუნველყოფილი არ იყო ბოლნისის ღვინის ქარხანა და ვარციხის საბჭოთა მეურნეობა.

ბევრგან მოუგვარებელი იყო მიღებული პროდუქციის აღრიცხვა და ანგარიშსწორება.

ახლა მთავარია ის, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ქარხანათა სამმართველოები და ღვინის ქარხნები ყოველმხრივ მოემზადონ ყურძნის დროულად მიღებისა და გადამუშავებისათვის. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

ახალი ქარხნების მშენებლობა ჭიანურდება თელიანში, ხირსაში, საგარეჯოში, გუდაუთაში, ტვიშში, სადაც ჯერ კიდევ შესასრულებელია მნიშვნელოვანი სამუშაოები. ელექტროქსელის შეკეთება არ არის დამთავრებული ბოლნისის, ნაფარეულის, ხირსის, ყულარის, ვარციხის, ზუგდიდის, ცაგერისა და ამბროლაურის ღვინის ქარხნებში.

წყლის მიწოდების მოუგვარებლობის გამო ხირსისა და ნაფარეულის ღვინის ქარხნებში საფრთხეშია საღვინე ჭურჭლის მომზადება.

საჭიროა სასწრაფოდ დამთავრდეს ვარციხის და ბოლნისის საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის წვენის დასამზადებელი საამქროების მოწყობა. ამ საქმის შესრულება ბევრად არის დამოკიდებული სამტრესტის ტექნიკური განყოფილების მომუშავეებზე.

კასრების რემონტის საქმეში ჩამორჩებიან მანავის, ჩოხატაურის, აფხაზეთის ასსრ, სიღნაღის და ღვინის სხვა ქარხნები.

ყურძნის სატრანსპორტო ჭურჭელი აკლია ქუთაისის, მაიაკოვსკის, ყანის, ნაფარეულის და ყულარის ღვინის ქარხნებს.

რთვლისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტებმა და მისმა კანტორებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ, რათა სასწრაფოდ დაამთავრონ თელიანის, ხირსის, საგარეჯოს, გუდაუთისა და ტვიშის ღვინის ქარხნების მშენებლობა.

სამტრესტის მშენებლობის ტექნიკური და საწარმოო განყოფილების მუშაკებმა ღვინის ქარხნები უნდა უზრუნველყონ საჭირო ინვენტარითა და მასალებით. საჭიროა ახლავე შემოწმდეს ყველა საჭირო ხელსაწყოსა და დანადგარის მდგომარეობა, სრული წესრიგით ჩაბარდეს ისინი საამქროს უფროსებს.

აუცილებელია კოლმეურნეობებში გავაჩაღოთ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, ღვინის ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებმა მეკონტრაქტეებს უნდა გააცნონ ყურძნის კრეფის ტექნიკა და ვადები, კონტრაქტაციის და ყურძნის დამზადების პირობები, განუმარტონ ყურძნის შაქრიანობის ნორმები და მოსავლის გეგმის გადამეტებით მიღებისათვის დაწესებული პრემია-დანამატების გაცემის წესი.

ღვინის ქარხნებმა უნდა დააკომპლექტონ საჭირო კადრები: მწონავები, შაქრიანობის მზომავები, მონგარიშეები და სხვ. ამასთან საჭიროა ამ საქმისათვის შეარჩიონ მცოდნე და კეთილსინდისიერი მუშაკები. აუცილებელია მოვამარაგოთ სასწორები, შაქრიანობის საზომები და ყურძნის აღრიცხვის თორმები. რთვლის დაწყება უნდა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ღვინო უნდა დამზადდეს. ამიტომ საჭიროა რთვლის დაწყებამდე ყურძენი სისტემატურად მოწმდებოდეს შაქრიანობისა და სიმჟავის მხრივ.

ცალკეული ქარხნების, კოლმეურნეობების მიხედვით და ღვინის მარკების გათვალისწინებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და ღვინის ქარხნებმა უნდა შეადგინონ ყურძნის კრეფისა და გადამუშავების გრაფიკი. ამ გრაფიკის დაცვა ყველასათვის სავალდებულოა.

ყურძენი უნდა მოიკრიფოს მშრალ ამინდში ნამის აშრობის შემდეგ. დაკრეფილი ყურძენი მაშინვე უნდა გაიგზავნოს ქარხანაში და სასწრაფოდ გადამუშავდეს. დასაშვები არ არის ტკბილის დუღილი უსაფუაროდ.

საჭიროა დაავადებული და სეტყვისაგან დაზიანებული მტევნები ყურძნის კრეფის დროს წინასწარ დაიკრიფოს და ცალკე გადამუშავდეს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქარხნებში უხარისხო და არაკონდიციური ყურძნის მიღება-გადამუშავება.

საჭიროა კოლმეურნეობებმა მოაწყონ ჩამიჩისა და ჩურჩხელის დამზადება. მიზანშეწონილია მეტი რაოდენობით დამზადდეს ყურძნის წვენი, ყურძნის თაფლი, ჩურჩხელა, ტკბილკვერი და სხვ.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა წელს უნდა გასცენ და სხვადასხვა პუნქტებში გაგზავნონ 3.000 ტონამდე ყურძენი. ყურძნის გაგზავნა დავალებული აქვს დიღმის, გიაურარხის, ყულარის, ბოლნისის საბჭოთა მეურნეობებს.

აღნიშნულმა მეურნეობებმა უნდა უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი, კარგად შეფუთული ყურძნის მიწოდება მშრომელებისათვის.

მევენახეთა და ღვინის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა წინაშე დგას საპასუხისმგებლო ამოცანა — მთლიანად შეასრულონ ყურძნის ჩაბარებისა და გადამუშავების სახელმწიფო გეგმები, მისცენ სამშობლოს მეტი ყურძენი და მაღალხარისხოვანი ღვინო.

აგრონომი პ. მახარაშვილი,
სამტრესტის მმართველის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამთავრდა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის IV ყრილობის მუშაობა

ბერლინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის IV ყრილობამ. ყრილობის დელეგატებმა განიხილეს და მოიწონეს პარტიის თავმჯდომარის ლ. ბოლცის საანგარიშო მოხსენება, ილაპარაკეს თავიანთ მუშაობაზე რესპუბლიკის დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის. ყველა ისინი იმის მომხრე იყვნენ, რომ საჭიროა გერმანიის გაერთიანების გზაზე მოისპოს მთავარი დაბრკოლება — პარიზის შეთანხმებანი, საჭიროა გერმანელთა შორის ურთიერთგაგების მიღწევა. ისინი მიესალმნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოსკოვის მოლაპარაკების წარმატებით შედეგებს.

ყრილობამ მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მისალმება.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მშვიდობისმოყვარე და პატრიოტულად განწყობილ გერმანელთა სულ უფრო მეტ მასებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიაჩნიათ გერმანიის მშვიდობიანი და დემოკრატიული გაერთიანების ბურჯად.

ყრილობაზე აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ლოტარ ბოლცი, თავმჯდომარის მოადგილედ ხელახლა აირჩიეს გ. ჰომანი. გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახლადარჩეულმა მთავარმა კომიტეტმა ყრილობის დამთავრების შემდეგ გამართა სხდომა და აირჩია პარტიის გამგეობა.

## ადენაუერის პრეს-კონფერენცია

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ბონიდან მიღებული ცნობებით, გუშინ იქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გამოვიდა კანცლერი ადენაუერი. შეეხო რა მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, მან აღნიშნა, რომ მოულოდნელი არაფერია გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებაში დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რადგან ყველა ქვეყანას, რომლებიც შედიან ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში, რომლის წევრიც არის ფედერალური რესპუბლიკა, მოსკოვში ჰყავს თავისი ელჩი და მისია. „იმით. რითაც სხვა სახელმწიფოები სარგებლობენ, უნდა ვისარგებლოთ ჩვენც“ — ხაზგასმით აღნიშნა კანცლერმა.

მოსკოვის მოლაპარაკებიდან და საუბრებიდან, თქვა ადენაუერმა, დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირს ნამდვილად სურს უშიშროების სისტემის შექმნა, რადგან მას ისე ბევრი ამოცანები აქვს სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში, რომ სურს მთელი ძალები მოახმაროს ამ ამოცანებს.

შეეხო რა სხვა საკითხებს, კერძოდ გერმანიის საზღვრების საკითხს, კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკდესის შესაბამისი განცხადება მოულოდნელი არ ყოფილა.

## სრულიად გერმანიის მოლაპარაკებისათვის

ბერლინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის წრეებში კვლავ გაცხოველებით განიხილავენ ფედერალური რესპუბლიკის კანცლერის მოსკოვში გამგზავრების შედეგებს.

დასავლეთ გერმანიის გაზეთების ფურცლებზე სულ უფრო ხშირად მოითხოვენ, რომ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელები თავიანთ პოლიტიკას აშენებდნენ ისე, რომ ხელმძღვანელობდნენ გერმანიის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს არსებობის რეალური ფაქტით და აქედან გამომდინარე შედეგებით. ის პოლიტიკური წრეები, რომლებიც მართლაც არიან დაინტერესებულნი მშვიდობის შენარჩუნებით, უშიშროების უზრუნველყოფით და გერმანიის საკითხის გადაჭრით, მოითხოვენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობათა მოლაპარაკებას, სრულიად გერმანიის შეთანხმებას.

ახლა, წერს „ბაიერიშეს ფოლკსეხო“, საჭიროა ბონსა და ბერლინს შორის დამყარდეს კონტაქტი, რაც იქნება გერმანიის გაერთიანების გზაზე გადადგმული შემდგომი ნაბიჯი.

„ფრანკფურტერ ალგემაინე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი, ვისაც იმედი აქვს მიაღწიოს გერმანიის გაერთიანებას ისე, რომ არ ესწრაფვოდეს შიდაგერმანიის შეთანხმებას, დიდად ცდებიან. რამდენადაც გერმანიის ორივე სახელმწიფო რეალობაა, ახლა არ არსებობს სხვა გზა, გარდა დაახლოების გზისა. გაზეთი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი თავის დროზე მოითხოვდა თავისუფალი არჩევნების მოწყობას. მაგრამ ეს წინადადება მიღებულ არ იქნა; ახლა კი პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლის შემდეგ ახალი მდგომარეობა შეიქმნა.

სრულიად გერმანიის მოლაპარაკება გარდუვალად მიაჩნია აგრეთვე გაზეთ „შტუტგარტერ ცაიტუნგს“, რადგან, თუ მოლაპარაკება არ იქნა, სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება გერმანიის საკითხის გადაჭრაზე.

## ახალი გემი საბჭოთა კავშირისათვის

კოპენჰაგენი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ დანიის ფირმის „ბურმეისტერ ოგ ვაინის“ ვერფში წყალში ჩაუშვეს ახალი რეფრიჟერატორი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაკვეთით აიგო.

## ინგლისის სამხედრო პოლიციის ახალი კონტინგენტები ჩავიდნენ კუნძულ კვიპროსზე

ლონდონი, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ნიქოზიიდან (კუნძული კვიპროსი) იუწყება, გუშინ ინგლისის ავიოსან „ოუშენით“ ჩამოვიდა სამხედრო პოლიციის 100 მოსამსახურე კუნძულზე უკვე მყოფი სამხედრო-პოლიციური ნაწილების შესავსებად.

## ნიუ-იორკში ჩავიდნენ ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის დელეგაციის წევრები

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს ნიუ-იორკში ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი.

ვ. მ. მოლოტოვსა და საბჭოთა დელეგაციას ნიუ-იორკის აეროპორტში შეხვდნენ: უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაური ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური ქ. ვ. კისელიოვი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ა. სობოლევი, პოლონეთის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში რ. სპასოვსკი, პოლონეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ბირეცკი, ჩეხოსლოვაკიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში კ. პეტრჟელკა, ჩეხოსლოვაკიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ულრიხი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საოქმო განყოფილების გამგე დენუ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიაზე უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების წევრები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

აეროპორტში ვ. მ. მოლოტოვმა ამერიკისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს შემდეგი განცხადება გაუკეთა:

„წელს ბედნიერება მხვდა, კვლავ ჩამოვსულიყავი ნიუ-იორკში. მე შემექმნა აზრი, რომ გზა მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე, გახდა უკეთესი, უფრო სწორი. ნება მიბოძეთ ვისარგებლო ამ შესაძლებლობით, რათა გულითადად მივესალმო ამერიკელ მეგობრებს და გამოვთქვა გულწრფელი სურვილი, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდეს ჩვენი ხალხებისა და საყოველთაო მშვიდობის სასარგებლოდ“.

## საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკების გამო

### შვეციისა და დანიის პრესის გამოხმაურება

სტოკჰოლმი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღევანდელი გაზეთები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ საბჭოთა მთავრობის წინადადებას ფინეთისათვის პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზის გადაცემის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირს იჯარის უფლებებით მიეცა 1947 წლის 10 თებერვლის საზავო ხელშეკრულებით. გაზეთებს საბჭოთა მთავრობის ეს ნაბიჯი მიაჩნიათ ახალ წვლილად საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებაში.

ყველა გაზეთს მოყავს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრ უნდენისა, რომელმაც თქვა: „ცნობა, რომ საბჭოთა კავშირმა გადაწყვიტა პორკალა-უდის რაიონის დაბრუნება, უაღრესად სასიხარულოა შვეციისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ახლო ურთიერთობას ფინეთთან. საერთო თვალსაზრისით ამ გადაწყვეტილებას უნდა მივესალმოთ როგორც დაძაბულობის შემდგომი შენელების ნიშანს. შვეციის საზოგადოებრივი აზრი კმაყოფილებით მიესალმება ფინეთ-რუსეთის მოლაპარაკების ამ შედეგს“.

გაზეთი „მორგონ-ტიდნინგენი“ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დიდსულოვანი წინადადება „კიდევ უფრო ფართო გზას გაუხსნის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას“. ფინეთის სიხარულს, განაგრძობს გაზეთი, იზიარებენ ჩვენს ქვეყანაშიც, აგრეთვე მთელი ჩრდილოეთის ქვეყნებში. ფინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საერთო განვითარების და განსაკუთრებით ისეთი დიდი ამბის გამო, როგორიც არის პორკალა-უდის გადაცემა, არა მგონია, რომ ახლა ფინეთში იყოს რაიმე საწინააღმდეგო აზრი იმისა, რომ განახლდეს მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომლის ვადა ახლო მომავალში გადის.

კოპენჰაგენი, 18 სექტემბერი. (საკდესი). კოპენჰაგენის ყველა გაზეთი მთავარ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის განცხადებას საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკებაზე. ცნობებს მოლაპარაკების შესახებ აქვეყნებენ პირველ გვერდზე ვრცელი სათაურებით. „ფინეთი კვლავ მიიღებს პორკალას“ — წერენ გაზეთები „სოსიალ-დემოკრატენი“, „ლანდ ოგ ფოლკი“ და „დაგენს ნიჰედერი“.

გაზეთები მოლაპარაკების შესახებ ცნობებში გამოყოფენ ფინეთის პრემიერ-მინისტრ კეკონენის განცხადებას, რომ საბჭოთა კავშირის დაპირება ვადამდე თქვას უარი თავის საიჯარო უფლებებზე პორკალა-უდის მიმართ „დიდი სიხარულით ავსებს ჩვენს გულსა და მთელი ფინელი ხალხის გულს“.

გაზეთი „პოლიტიკენი“ აღნიშნავს, რომ ფინეთისათვის პორკალა-უდის ბაზის დაბრუნებამ სკანდინავიის ქვეყნებში „სიხარული და დამშვიდება“ გამოიწვია.

გაზეთი „სოსიალ-დემოკრატენი“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ საბჭოთა კავშირის უარი პორკალა-უდზე განხილულ უნდა იქნას „როგორც ისეთივე დადებითი, კონკრეტული ხასიათის კიდევ ერთი სასიხარულო ნიშანი, როგორიც იყო ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება“. საბჭოთა წინადადება, დასძენს გაზეთი, „განამტკიცებს იმის იმედს, რომ მოხერხდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განგრძობა ფართო პოლიტიკური პლანით“.

## ამერიკული გაზეთი პრესაში საერთაშორისო ამბების გაშუქების შესახებ

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ყოიორკის (პენსილვანიის შტატი) გაზეთი „გაზეტ ენდ დეილი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ამერიკის პრესის მიერ მოსკოვში ადენაუერის გამგზავრების გაშუქება იმას მოწმობს, რომ „ცივი ომისათვის დამახასიათებელი რეპორტაჟი“ ნდობის ღირსი არ არის. „ეს ისეთი რეპორტაჟია, რომლის დროსაც სასურველს იღებენ სინამდვილედ, როცა კორესპონდენტი ამახინჯებს ფაქტებს, სანამ ისინი მოხდებოდნენ... კორესპონდენტები რაიმე თათბირის მსვლელობასა და დაწვრილებით ცნობებს ისეთი ფორმით გვიხატავენ, როგორითაც სასურველია სახელმწიფო დეპარტამენტისათვის... 13 სექტემბრის საღამომდე გაზეთები წერდნენ, რომ მოლაპარაკება მოსკოვში განწირულია ჩაშლისათვის. მისი შედეგი უნდა იქნას ნოლი. ადენაუერმა და მოსკოვის წარმომადგენლებმა ვერავითარი გზით ვერ მოახერხეს მორიგება... მაგრამ შემდეგ უეცრად აღმოჩნდა, რომ დამყარებულია დიპლომატიური ურთიერთობა“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი წერს: „ყოველი კეთილსინდისიერი და დამოუკიდებელი ადამიანისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ როგორც კი დასავლეთი გერმანია სუვერენული სახელმწიფო გახდა, მისთვის გაიხსნა გზა ყოველ ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად. ერთადერთი საკითხი იყო: სასარგებლოა თუ არა დასავლეთ გერმანიისათვის რუსეთთან დაამყაროს ოფიციალური ურთიერთობა? გეოგრაფიული და ეკონომიური მოსაზრებით და საერთაშორისო პოლიტიკის მიზეზებით პასუხი დადებითი უნდა ყოფილიყო. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ასეა, მიუხედავად იმისა, თუ რის თქმას ცდილობდნენ ჩვენი კორესპონდენტები, რომლებიც ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების მაგალითს ჰბაძავენ. განა არ შეიძლება აქედან გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ცივი ომის პოლიტიკა, ისე როგორც რეპორტაჟი ცივი ომის სულისკვეთებით, ნდობის ღირსი არ არის და სალი საფუძველი არ გააჩნია მხოლოდ იმიტომ, რომ უარს ამბობს პირდაპირ შეხედოს ფაქტებს?“.

## არგენტინის ამბები

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, მთავრობის რადიომ გადასცა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ აჯანყება გულდასმით იყო მომზადებული საზღვარგარეთიდან იმ ძალების ფართო დახმარებით, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი არგენტინის კონსტიტუციურ ხელისუფალთადმი. ამას მოწმობს ის ფაქტი, ნათქვამია კომუნიკეში, რომ მეამბოხეთა ინფორმაციის სამსახური მოწყობილია მარტო არგენტინის ფარგლებს გარეთ. „მეამბოხეთათვის ხელსაყრელი ოდნავი მანევრები და სულ მცირე ინფორმაცია იკრიბება და დაუყოვნებლივ ვრცელდება საზღვარგარეთ. ამავე დროს ცდილობენ დაამახინჯონ არგენტინის ხელისუფალთა ოფიციალური გადაწყვეტილებები ან ცნობები“.

იმავე სააგენტოს კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, რომ არგენტინის შრომის საყოველთაო კონფედერაციის (რომელშიც 6 მილიონი მუშაა) გენერალურმა მდივანმა დი პიეტრომ სიტყვა წარმოთქვა რადიოთი. მან განაცხადა, რომ არგენტინელი მუშები „იბრძოლებენ ყველა საშუალებითა და ყველა გვარეობის იარაღით მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომლებმაც შეიარაღებული აჯანყება მოაწყეს კონსტიტუციისა და კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ“.

ბუენოს-აირესი, 18 სექტემბერი. (საკდესი). მთავრობის ჯარების სარდლობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ მეამბოხეთა არალეგალური რადიოსადგური დაბომბვით ემუქრება ბუენოს-აირესს. ცნობაში აღნიშნულია, რომ დედაქალაქი დაცულია ავიაციის დიდი ძალებით და, რომ მისკენ მოდიან საზენიტო არტილერიის ნაწილები.

ბუენოს-აირესი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მთავრობა კონტროლს უწევს არგენტინაში შექმნილ მდგომარეობას გარდა კორდოვისა, სადაც გრძელდება ოპერაციები მეამბოხეთა წინააღმდეგ. პუერტო-ბელგრანოს სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონში მთავრობის ჯარებმა განაახლეს შეტევა მეამბოხეთა ძალების წინააღმდეგ.

## სან-მარინოს რესპუბლიკის კაპიტან-რეგენტების არჩევნები

რომი, 18 სექტემბერი. (საკდესი). 16 სექტემბერს სან-მარინოში (პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფო აპენინის ნახევარკუნძულზე) გაიმართა პირველი სხდომა რესპუბლიკის დიდი საბჭოსი (პარლამენტი), რომელიც ამა წლის 14 აგვისტოს აირჩიეს. როგორც ცნობილია, დიდი საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ 35 კომუნისტი და სოციალისტი, 23 ქრისტიანი დემოკრატი და 2 სოციალ-დემოკრატი.

სხდომაზე აირჩიეს კაპიტან-რეგენტები (აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელები, რომელთაც 6 თვით ირჩევენ და რომლებიც ტრადიციით რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები არიან). ნახევარი წლისათვის — 1955 წლის 1 ოქტომბრიდან 1956 წლის 31 მარტამდე კაპიტან-რეგენტებად არჩეული არიან კომუნისტი მაიანი და სოციალისტი ბულიი.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პლენარულ სესიაზე

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, 16 სექტემბერს გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პლენარული სხდომა. სხდომაზე მიიღეს ბრძანებულება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ვალდებულების კანონის საფუძველზე 1955 წელს არმიაში გაწვევის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს საკითხი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის იმ ოფიცრებისა და ჯარისკაცების ორდენებით დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამხედრო სამსახურში, და მოწონებულ იქნა დებულება სხვადასხვა გვარეობის ჯარებისათვის არმიაში ტანსაცმლის ახალი ფორმის, აგრეთვე სამხრეების, საკილოვეებისა და ემბლემების შემოღების შესახებ. გადაწყდა ეს დებულება ძალაში შევიდეს 1955 წლის 1 ოქტომბრიდან.

სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე კანონპროექტები შიდამონღოლეთის ავტონომიურ ოლქში ყველა საფეხურის სახალხო კომიტეტებისა და სახალხო წარმომადგენელთა კრებების შექმნის შესახებ. გადაწყდა ეს კანონპროექტები მოსაწონებლად წარედგინოს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივ კომიტეტს.

## დანიის კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფის მიმართვა მთავრობისადმი

კოპენჰაგენი, 19 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკში“ გამოქვეყნებულია კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფის მიმართვა მთავრობისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრმა მიმდინარე წლის 12 მარტს ფოლკეტინგში განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეამციროს სამხედრო ხარჯები, თუ საბჭოთა კავშირი შეამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს და გადადგამს ნაბიჯებს დაძაბულობის შენელებისათვის. ჟენევის კონფერენციამ და მრავალმა საერთაშორისო მოლაპარაკებამ, აგრეთვე გადაწყვეტილებამ შეამციროს შეიარაღებული ძალები, — ნათქვამია მიმართვაში, — ცხადყოს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განიარაღებისათვის და ესწრაფვის დაძაბულობის შენელებას. ამასთან დაკავშირებით კომუნისტური პარტიის პარლამენტის ჯგუფი მოუწოდებს მთავრობას შეამციროს სამხედრო ხარჯები, რათა ამით შეამციროს საგადასახადო ტვირთი, გააუმჯობესოს ვალუტის მდგომარეობა და გაამართლოს ის მოლოდინი, რომელიც პრემიერ-მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოიშვა.

## იაპონიაში ჩაიტანეს თვითმფრინავით კიუიცი ტოკუდას ნეშტი

ტოკიო, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, დღეს იაპონიაში თვითმფრინავით ჩინეთიდან ჩამოიტანეს ურნა იაპონიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის განსვენებული კიუიცი ტოკუდას ნეშტით. კიუიცი ტოკუდას ნეშტს პეკინიდან ტოკიოში გამოჰყვნენ იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იოსიო სიგა და განსვენებულის ქვრივი ტაცუ ტოკუდა.

## სლავთმცოდნეების საერთაშორისო კომიტეტის არჩევა

ბელგრადი, 18 სექტემბერი. (საკდესი). 16 სექტემბერს სლავთმცოდნეების თათბირის პლენარულ სხდომაზე აირჩიეს სლავთმცოდნეების საერთაშორისო კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ 12 ქვეყნის წარმომადგენლები: ვინოგრადოვი (სსრ კავშირი), ლერ-სპლავინსკი (პოლონეთი), ხავრანეკი (ჩეხოსლოვაკია), მაზონი (საფრანგეთი), გეორგიევი (ბულგარეთი), ელისაბედ ჰილი (ინგლისი), იაკობსენი (ამერიკის შეერთებული შტატები), სტენდერ პეტერსენი (სკანდინავიის ქვეყნების წარმომადგენელი), მავერი (იტალია), პეტროვიჩი (რუმინეთი), ვასნერი (გერმანია) და ბელიჩი (იუგოსლავია).

საერთაშორისო კომიტეტის ამოცანაა სლავთმცოდნეების კონგრესის მომზადება.

## მოსწავლეთა ზეიმი



ლამაზად არის მორთული თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და მისი პარკი. აქ მიმდინარეობს თბილისის რაიონების სკოლების მოსწავლეთა ზეიმი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავად.

მოსწავლეებს აცნობენ სასახლეში ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელ კაბინეტს, აგრეთვე სხვა კაბინეტებსა და ლაბორატორიებს. სარკეებიან და თეთრ დარბაზებში მათთვის ეწყობა საზეიმო შეხვედრები პედაგოგებთან, იმართება მასობრივი ცეკვა-თამაშობანი, სასახლის თეატრალურ დარბაზში აჩვენებენ საბავშვო კინოსურათებს.

სურათზე: პირველკლასელები პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაღში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

### საჭადრაკო ტურნირი გეტებორგში

გეტებორგი, 19 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მე-19 ტურში სპასკიმ გაიმარჯვა გროსმაისტერ შტალბერგზე.

სამი შეხვედრა: ნაიდორფ-პახმანი, პანო-მედინა, უნციკერ-კერესი დაუმთავრებელი დარჩა. დამთავრების დროს თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ნაიდორფი (არგენტინა) და პახმანი (ჩეხოსლოვაკია). კერესმა (სსრ კავშირი) ადვილად მოუგო უნციკერს (დასავლეთი გერმანია), მედინამ (ვენესუელა) რკულ ენდშპილში შეცდომა დაუშვა და წააგო პანოსთან (არგენტინა).

უკანასკნელისწინა მე-20 ტურში დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა. რაბარმა (იუგოსლავია) მოუგო ნაიდორფს (არგენტინა). პეტროსიან-საბოს (უნგრეთი) და ილივიცკი-ფილიპის (ჩეხოსლოვაკია) პარტიები ყაიმით დამთავრდა. კერეს-სლივას (პოლონეთი), გელერ-შტალბერგის (შვეცია) და ბრონშტეინ-ფუდერერის (იუგოსლავია) პარტიებში უპირატესობა საბჭოთა გროსმაისტერების მხარეზეა.

### მოსკოვის „ლოკომოტივი“ ნახევარფინალში გავიდა

სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მერვედფინალური მატჩები ძირითადად დამთავრდა, დაიწყო მეოთხედფინალური შეხვედრები.

დიდი ინტერესი გამოიწვია პირველმა მეოთხედფინალურმა შეჯიბრებამ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდებს შორის. ეს მატჩი გაიმართა მინსკში. ძლიერი წვიმის მიუხედავად, თამაშს სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული დაესწრო. 90 წუთში ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. თასის გათამაშების დებულებით მსაჯმა დამატებითი დრო დანიშნა. ლოკომოტიველებმა შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 1 : 0.

ამრიგად, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. ლოკომოტიველები ნახევარფინალში შეხვდებიან ცდსა-სა და თბილისის „დინამოს“ მეოთხედფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს. ეს მატჩი გაიმართება 6 ოქტომბერს თბილისში. 7 ოქტომბერს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „სპარტაკისა“ და კიევის ოფიცერთა სახლის გუნდები, 8 ოქტომბერს — „დინამო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ვილნიუსი). ნახევარფინალური შეხვედრები შედგება 11 და 12 ოქტომბერს, ფინალი — 16 ოქტომბერს.

### სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში

ვოროშილოვგრადი. (სპეც. კორ.). აქ გრძელდება საბჭოთა კავშირის 1955 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ ნახევარფინალში გამარჯვებულები.

პირველ ტურში საქართველოს გუნდი შეხვდა უკრაინის მოჭადრაკეთა ძლიერ კოლექტივს. საქართველოს მოჭადრაკეებმა წააგეს შეხვედრა 1 : 7 (ყაიმით დაამთავრეს პარტიები შიშოვმა და სოროკინმა).

მეორე ტურში საქართველოს გუნდი თამაშობდა ბელორუსიის მოჭადრაკეებთან. შეხვედრის ანგარიშია $4\frac{1}{2} : 3\frac{1}{2}$ ბელორუსიის გუნდის სასარგებლოდ.

### წყალბურთელთა ასპარეზობა

თბილისში გრძელდება ჩვენი ქვეყნის მოწინავე წყალბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა.

პირველ დღეს თბილისის „დინამო“ შეხვდა უზბეკეთის ნაკრებ გუნდს. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 9 : 0. ამავე დღეს ერთერთმა ძლიერმა კოლექტივმა — ლვოვის „დინამომ“ მოუგო ალმა-ატის „ბურევესტნიკს“ 12 : 0, ლენინგრადის „დინამომ“ — ბაქოს „ნეფტიანიკს“ 6 : 2.

• • •

ასპარეზობის მეორე დღეს, 18 სექტემბერს, ფიზკულტურის სახლის საცურაო აუზში გაიმართა მორიგი მატჩები. საინტერესოდ მიმდინარეობდა წყალბურთელთა მოწინავე კოლექტივების — მოსკოვის „ტორპედოსა“ და ტალინის „დინამოს“ შეხვედრა. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 6 : 2. მატჩი კიევის „დინამოსა“ და დონის როსტოვის „სპარტაკის“ გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 4 : 2. გორკის „დინამომ“ დაამარცხა უზბეკეთის წყალბურთელთა კოლექტივი 10 : 1.

დღის მეორე ნახევარში პირველად ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და მინსკის ოფიცერთა სათამაშო სახლის წყალბურთელები. თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში 8 ბურთი გაიტანეს და მოიგეს მატჩი 8 : 0. ლვოვის „დინამომ“ გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა, მოუგო ბაქოს „ნეფტიანიკს“ 11 : 3. მატჩი ლენინგრადის „დინამოსა“ და ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით 5 : 1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.


**დღეს თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კამერული ორკესტრის კონცერტი, რუსთაველის სახელობის — გლახის ნაამბობი, გრიბოედოვის სახელობის — იასამნის ბაღში, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ამბავი ორი ბიჭისა (აბონემენტი № 21, 7 ს.), თოჯინების ქართული — ორი ქოსატყუილა.

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, იხანი (საზამთრო), პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი — გზა, კომკავშირელი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი — ახალი მხატვრული ფილმი, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), დიდუბე (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი — ფუნთუშა, ფილარმონიის ბაღი — ისინი ხუთნი იყვნენ, კოლხიდა — ახალი მხატვრული ფილმი (საზამთრო), ავარა (საზაფხულო), იხანი (საზაფხულო) — ლიმერივნა, 26 კომისრის (საზამთრო) — წყლის ვარსკვლავები, დიდუბე (საზამთრო) — ჭირვეული მარიეტა, კოლმეურნე — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — თავადის ასული მერი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — სიყვარულის ასაკი.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების გამგე; 2. ქართველურ ენათა განყოფილების 1 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და წარმოადგინონ 3 ცალად შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2. პარტიული და საქმიანი დახასიათება, 3. კადრების აღრიცხვის ფურცელი, 4. სამეცნიერო ნაშრომთა სია, 5. სამეცნიერო შრომათა ვრცელი დახასიათება, შედგენილი სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ, 6. ასლები: უმაღლესი განათლების დიპლომისა, სამეცნიერო ხარისხის და წოდების მინიჭების საბუთებისა.

კონკურსის ვადაა ათი დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 3-95-43.

ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ადვოკატ

**ილია ანდრიას-ძე ადამიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 6 ს. მ. თოიძის ქ. № 44.

დედა ივდითი, შვილები ლორა, ნათელა, და თამარ ოჯახით იუწყებიან

**ნინო დავითის ასულ კიკვაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-IX ჭელიაღელეში (ამბროლაურის რაიონი).

მეუღლე დარო, შვილები მარიჯან, ელისო, მიხეილ, აკაკი, რევაზ ოჯახებით იუწყებიან

**პლატონ ვიჩის-ძე ქკადუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IX სოფ. ხაიშში (მესტიის რაიონი).

შვილები მალიკო, მიხეილ მრევლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**მარიამ ქრისტეფორეს ასულ მრევლიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 5 ს. ბინიდან, ლენინის ქ. № 63.

შვილები ლევან, ავთანდილ, დედა პელაგია, დები ქეთევან, ეკატერინე, ელენე, შუშანა, ძმები ვასილ, გიორგი, გრიგოლ ოჯახებით იუწყებიან

**ლუბა ტარასის ასულ სოხაძე-ყიფიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-IX, 8 ს. გამოსვენება 22-IX, 6 ს. რუსთაველის პროსპ. № 37.

შვილი ნადია მჭედლიშვილი, ძმები გრიგოლ, ლუარსაბ ოჯახებით იუწყებიან

**სონა ანდრიას ასულ კარბელაშვილი-ზაალიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-IX სოფელ იგოეთში (კასპის რაიონი).



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04189 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.